უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 06

ქ. თბილისი

**სხდომის თარიღი** 09/03 /2020 წ
**სხდომის დაწყების დრო** 15:20 სთ
**სხდომის დამთავრების დრო** 20:40 სთ
**საბჭოს/სხდომის თავმჯდომარე** - ირაკლი ბურდული
**საბჭოს/ სხდომის მდივანი** - ნიკოლოზ კიკნაძე

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი **(საბჭოს თავმჯდომარე)**;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **(საბჭოს მდივანი)**;
4. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელწმიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები**

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | თეა ნადირაძე | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი |
| 2 | სოფიკო ქურასბედიანი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ჯემალ ძაგანია | სსიპ-ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | 1 |

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ვლადიმირ ბოჟაძე | სსიპ-ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | I |
| 3 | მანანა მნათობიშვილი | სსიპ-ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 4 | ვასილ ლიპარტელიანი | სსიპ-ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 5 | მარინე გიორგაძე (ჩაერთო სკაიპით) | სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ფაკულტეტის დეკანი | II |
| 6 | მაია კიკვაძე (ჩაერთო სკაიპით) | სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 7 | ჟუჟუნა გუმბარიძე(ჩაერთო სკაიპით) | სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | II |
| 8 | რევაზ კვერენჩხილაძე | სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | III - IV |
| 9 | ბიძინა ზურაშვილი | სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | III - IV |
| 10 | დავით გელოვანი | სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | III - IV |
| 11 | ხათუნა თოდაძე | სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ვიცე-რექტორი | III - IV |
| 12 | ირინე კვაჭაძე | სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | უსდ-ს ხარისხის სამსახურის უფროსი | III - IV |
| 13 | ირაკლი მჭედლიშვილი | სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ფაკულტეტის დეკანი | III - IV |
| 14 | დავით ბოსტოღანაშვილი | შპს-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი | უსდ-ს ხარისხის სამსახურის უფროსი | V |
| 15 | ვასილ კიკუტაძე | შპს-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი | ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი | V |

აკრედიტაციის ექსპერტები

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | მერაბ ხოხობაია | | I |
| 2 | ლარისა პატარაია | | I |
| 3 | მარიამ ბურდილაძე | | I |
| 4 | ნინო პოპიაშვილი | | II |
| 5 | ელენე კიკალიშვილი | | II |
| 6 | ლია ბუღაძე | | III - IV |
| 7 | ლანა ბოკუჩავა | | III - IV |
| 8 | ხათუნა საგანელიძე | | III - IV |

საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^{2}$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) $27^{2}$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^{5}$ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის დღის წესრიგის პროექტი**

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N12 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების“ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
7. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

✓ კი

შუამდგომლობის ინიციატორი - ირაკლი ბურდული, საბჭოს თავმჯდომარე
ცვლილების არგუმენტაცია - გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო საბჭოს წევრების არა საკმარისი რაოდენობა

**დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი**

1. სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთსველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N12 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება;
6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება.

**1. პირველი საკითხი - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2019 წლის 07 მარტი, N63 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | - |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[7] | საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N49 |
| 14 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✔ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✔ არა

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელია პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ გვერდზე. ასევე, პროგრამისთვის შემუშავდეს კურიკულუმის რუკა. სამი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის წინაპირობის საკითხებს. კერძოდ, სასწავლო კურსი - „სტატისტიკა მენეჯერებისათვის", ამ კურსის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობად განისაზღვროს კალკულუსი ორი. დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა და იგი განისაზღვროს სავალდებულო კომპონენტების შესრულებით. მნიშვნელოვანია, რომ რეკლამის მიზნით, პროგრამის წარმომადგენლებმა უზრუნველყონ დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა. რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სპორტის კურსების ძირითადი ლიტერატურის თარგმანი. უკანასკნელი რეკომენდაცია გამომდინარეობს იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ პროგრამა გახლავთ უნიკალური და მას არ აქვს ბაზარზე ანალოგი. გამოიყენონ საერთაშორისო კონტაქტები, ჩართონ სტუდენტები საერთაშორისო მობილობაში. უნდა მოხდეს სტუდენტების წახალისება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილების მისაღებად. ექსპერტის აზრით, საჭიროა პროგრამის ბიუჯეტი გაწერილი იყოს უფრო ნათლად. ასევე, უნივერსიტეტმა გამოიყენოს გარე შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის დახვეწას. ხარისხის სამმართველოსთვის რეკომენდირებულია, რომ ფოკუს ჯგუფებთან მეტი მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ, რათა უკეთ გაანალიზონ პროგრამაში არსებული ხარვეზების დახვეწა. რეკომენდაცია, ასევე ეხებოდა ფონდის წიგნებს, რომლებიც საჭიროებენ პერმანენტულ განახლებას.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია**

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის შემდგომ მათ განაახლეს უნივერსიტეტის ოფიციალური გვერდი და ყველა ინფორმაცია, რაც დაკავშირებული იყო პროგრამასთან მეტი ცნობადობისთვის. სილაბუსების თაობაზე მან განმარტა, რომ უკვე მიეწოდა ინფორმაცია სილაბუსების ავტორებს და 90% ხარვეზებისა, რაც მოყვანილი იყო რეკომენდაციებში გასწორდა ან მიმდინარეობს შესწორება. აღსანიშნავია, რომ სილაბუსების ზოგიერთი ავტორი არ ცვლის გარკვეულ პოზიციას ზოგიერთ დეტალთან დაკავშირებით, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ყოველივე განსჯის საგანი გახდება და გარკვეულწილად მაინც ეს ნიუანსები იქნება საბოლოოდ გათვალისწინებული. ინტერნაციონალიზაციაზე, მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით მათ ჰქონდათ წარმატებული პროექტი, რომელიც წარმოადგენდა ბიზნეს სკოლას. იგი საზღვარგარეთ ძალიან პოპულარულია.უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მათთან ხელშეკრულება, ხოლო წელს მოხერხდა უნივერსიტეტის ლექტორებისა და კურსდამთავრებულების გადამზადება სპორტის მარკეტინგის მიმართულებითა. ასევე, ამ თემით დაინტერესებული იყო არაერთი სპორტის მენეჯმენტით დაკავებული პირი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე განაცხადა, რომ ექსპერტების რეკომენდაციების შედეგად, პროგრამის ბიუჯეტში მითითებულია გარკვეული თანხა საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობისათვის; ლექტორებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების საკითხი უფრო აქტუალური გახდა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ისინი გეგმავენ ახალი პროფესორების მოწვევას და პროგრამაში ჩართვას. ასევე, საუბარია იმაზე, რომ მოწვეული იყვნენ ამ პროგრამაზე უცხოელი ლექტორებიც, რომელიც აქტიურად ჩაერთვებიან სწავლის პროცესში. მათი მიზანია, რომ სამომავლოდ უფრო დახვეწონ პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს სტუდენტების გადასახადების გარდა, აქვს დამატებითი შემოსავლები, რომელიც ეხმარება ფაკულტეტს ბიუჯეტის სწორად გაწერისას თანხის მიზნობრივად ხარჯვაში, რაც მისი თქმით მოიცავს, ასევე, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ თანამშრომლობენ სხვადასხვა დაწესებულებთან, რაც ხელს უწყობს მათ სტუდენტებს დასაქმდნენ, როგორც მწვრთნელები, ანდაც სპორტის მარკეტინგის კუთხით, ჰქონდეთ დასაქმების დიდი შანსი. იგი საუბრობს ამ სფეროს საჭიროებაზე, რომელიც, მისი თქმით, საკმაოდ პოპულარულია დღესდღეობით და ბევრი სპორტული კლუბი საჭიროებს კარგ კადრებს ამ სფეროში. ხოლო ამ მიმართულებით მხოლოდ მათი უნივერსიტეტი მუშაობს ამ საკითხზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საგნების ჩამონათვალი და სილაბუსები ძალიან გავდნენ სხვა ფაკულტეტების საგნებს. მან მოიყვანა მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი საგანი - „ადამიანური რესურსების მართვა სპორტში" და აღნიშნა, სიტყვა „სპორტ"-ის დამატება არ იყო მხოლოდ საკმარისი, იგი პრაქტიკულად მხოლოდ ადამიანურ რესურებზე იყო აქცენტირებული. მან ურჩია, რომ სილაბუსში შეეტანათ ადამიანური რესურსების განხილვა სპორტის მხრივ, რათა განეხილათ ლექტორებს სხვადასხვა „ქეისები" სპორტიდან, რაც უფრო მიუახლოვებდა პროგრამის თემატიკას ამ კონკრეტული საგანით. მან ასევე აღნიშნა, რომ „ბიზნესის საფუძვლები" და „ბიზნესი და სპორტი" - ეს ორი საგანი გაეერთიანებინათ პროგრამაში. ხოლო „ბიზნესის სამართლებრივი რეგულაციები" -ის საგანი პროგრამაში არ იყო საჭირო. მან ასევე, აღნიშნა, რომ საგნები - „კორპორატიული ფინანსები", „მარკეტინგის საფუძვლები", „კომუნიკაციების მენეჯმენტი", თეორიულ დონეზე ერთის მხრივკარგია ამ საგნების პროგრამაში არსებობა, თუმცა სასურველია, რომ უფრო მეტად უკავშირდებოდეს სპორტს, მაგალითად „ქეისების" დონეზე.
საბჭოს წევრი დაეთნხმა კოლეგის რჩევებს და ასევე გამოყო ორი საგანი - „კვლევის მეთოდები" და „სოციოლოგიის საფუძვლები", რომელთა სილაბუსებში უფრო მეტად სოციოლოგიურ კვლევის მეთოდებზე იყო ხაზი გასმული და არა ბიზნესის კვლევის ან კვლევის მარკეტინგში, რომელიც უფრო უკეთსი იქნებოდა დაემატებინათ პროგრამაში. ასევე ხაზი გაუსვა, რომ საგანი, რომელიც პროგრამაში იყო, კერძოდ - „სოციალური ფსიქოლოგია", ვერ იქნებოდა შესწავლილი, თუკი პროგრამაში სტუდენტი მანამდე „ფსიქოლოგიის შესავალს" არ გაივლიდა. ზოგადად, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ბევრ სილაბუსში სიტყვა „სპორტი" ხელოვნურად იყო ჩამატებული და თავად სილაბუსის შინაარსთან თანწყობაში ვერ მოდიოდა.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ კვალიფიკაციის ჩარჩოს გათვალისწინებით, საუბარია ბიზნესის ადმინისტრირებაზე, ხოლო ის საგნები, რომლებიც საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ ახსენა, მათ არ გაჰყავს პროგრამა ამ კვალიფიკაციაზე. წევრს გაუჩნდა შეკითხვა, თუ რა იქნებოდა ამ შემთხვევაში.
უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ მათ შარშან გაიარეს აკრედიტაცია მოცემულ პროგრამაზე და მიიღეს 1 წლით პირობითი აკრედიტაცია. თავდაპირველად პროგრამის სახელწოდება იყო „სპორტის მენეჯმენტი", თუმცა კლასიფიკატორთან შეუსაბამობის გამო მას სახელწოდება შეუცვალეს. რექტორმა გამოხატა ერთგვარი უკმაყოფილება, რომ წინა ვიზიტასას მიცემული რეკომენდაციების სრული გათვალისწინების შემდგომ, კვლავ წამოიჭრა ახალი რეკომენდაციები.
უნივერსიტეტის წარმომადგენელი ხაზს უსვამს, რომ სპორტის მენეჯმენტი ძალიან აქტუალური და საჭირო სფეროა, რომ მათ ანალოგი ესპანეთისგან და ამერიკისგან აიღეს.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მიმდინარე საბაკალავრო პროგრამა თავისი სპეციფიკით წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის ანალოგს, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ ამის გამო, მოახდინეს ამ პროგრამის მოდიფიკაცია და სპორტის მენეჯმენტის ნაცვლად გარდაქმნეს ბიზნესის ადმინისტრირებად.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კანონმდებლობის დონეზე არ აქვთ უფლება ჰქონდეთ სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა. სწორედ ამიტომ, მათ ამ საბაკალავრო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება" უწოდეს.
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა თეა ნადირაძემ გამიჯნა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მიზნები ერთმანეთისგან. ხაზი გაუსვა, რომ ბაკალავრიატზე ხდება ფართო ცოდნის მიღება პროგრამასთან მიმართებაში, ხოლო მაგისტრატურაზე უფრო ვიწროდ ხდება სპეციალიზება. ბაკალავრიატის შემთხვევაში 240 კრედიტიდან 120 უნდა ვასწავლოთ ზოგადად, ვთქვათ, ბიზნესის ადმინისტრირების შესახებ, ხოლო შემდეგ არჩევითი კურსებით შესაძლებელია სპორტის სპეციფიკის შეთავაზება. თავად საკითხი, რომელიც წამოიჭრა, იყო 120 კრედიტი შესაბამისობაში იყო ბიზნესის ადმინისტრირებასთან თუ ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯმენტთან.

საბჭოს თავმჯდომარე

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს გარდა ყველა ქვეყანას გააჩნია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ბაკალავრიატზე სპორტის მენეჯმენტში. ინგლისურენოვან ლიტერატურაზე მან განაცხადა, რომ ეთანხმება რეკომენდაციას, რომ ე.წ. „რიდერები" აისახოს ლიტერატურაში.

საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა, თუ რამდენი აკადემიური პერსონალია ჩართული პროგრამაში და მათი კვალიფიკაციის დონე როგორია.

უნივესიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არიან პროგრამაში ჩართული პრაქტიკოსებიც, რომელთაც აკადემიური კვალიფიკაცია არ გააჩნიათ და ასევე, არიან პროფესორებიც.

უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს დავით ობოლაძემ და დავით დუგლაძემ.

საბჭოს წევრმა იკითხა, რომ 2019 წელს, როცა ამ პროგრამამ გაიარა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით, გაითვალისწინა თუ არა უნივერსიტეტმა ეს რეკომენდაციები.

უნივესიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრესი სახეზეა და მათ გაითვალისწინეს რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ ძველი რეკომენდაციების გათვალისწინებისას, ალბათ მაინც სჯობდა, რომ მათ მთლიანად შეეცვალათ პროგრამა და მოეხდინათ მისი მოდერნიზება. მიუხედავად ყველაფრისა, პროგრესი ნამდილად აღინიშნება.

საბჭოს წევრმა იკითხა, რომ პროგრამაში პრაქტიკას აქვს მინიჭებული 10 კრედიტი და სად მოიაზრებს უნივერსიტეტი რომ სტუდენტი გაივლის ამ პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, , რომ სპორტულ დაწესებულებებში, სპორტულ კლუბებში და ფედერაციებში.

**სათათბირო შესვენება**
დაწყების დრო 17:10
დამთავრების დრო 17:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ 2.3 კომპონენტი -"სასწავლო კურსი" ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან'' უნდა შეფასდეს, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვებთან''.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭოს მიერ მე-2 სტანდარტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთნ" შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რეკმენდაციები:**

ა) სპორტის მენეჯმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნას სპორტის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითების განხილვა;

ბ)საგანმანათლებლო პროგრამის კომუნიკაციის, მართვის კომპონენტებში თემატიკა ითვალისწინებდეს თანამედროვე მიდგომებს, მაგალითად სოციალური ქსელების გამოყენების შესაძლებლობებს;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი რეგულირების სასწავლო კურსი ითვალისწინებდეს სპორტის სფეროში მოქმედ მარეგულირებელი აქტების, ნორმების სწავლებას, მაგალითად დოპინგთან, არბიტრაჟთან, გასაჩივრების წესებთან და პროცედურებთან, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ საკითხებზე რომელსაც უშუალოდ პრაქტიკაში გამოიყენებენ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები;

დ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანთა უმრავლესობა არ ითვალისწინებს სასპორტო სფეროს სპეციფიკას, მაგალითად მარკეტინგში, მენეჯმენტში და სხვა. შესაბამისად ისევე, როგორც ზოგადი მენეჯმენტი, ასევე სასპორტო სპეციფიკის სწავლებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 0**
**წინააღმდეგი: 10**

**გადაწყვეტილება**

- აკრედიტაციის შესახებ
- პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ✓ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[3] პუნქტის,ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27[6] მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

**2. მეორე საკითხი - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[8] | ქართულ ენაში მომზადება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[9] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2011 წლის 04 ნოემბერი, N251; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის N1881 განკარგულების საფუძველზე 2018 წლის 31 დეკემბერი; ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის N646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[10] | ქართულ ენაში მომზადება |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[11] | - |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე[12] | - |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | - |

[8] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[9] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[10] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[11] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[12] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[13] | - |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 |
| 13 | განხორციელების ადგილი[14] | საქართველო 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, უნივერისტეტის I კორპუსი, II სართული, 45 ოთახი |
| 14 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | – |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✔ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✔ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე პროგრამამ 2011 წელს გაიარა აკრედიტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა წარდგენილი იყო მომდევნო აკრედიტაციის გასავლელად. პროგრამის შემოწმების დროს გათვალისწინებული იყო ისეთი საკითხებიც, რომლებიც ახალი კლასიფიკატორის მიხედვით სავალდებულო გახდებოდა უახლეს პერიოდში უნივერსიტეტებისთვის. ყველა პუნქტი იყო შესაბამისობაში, მათ შორის ახალ ჩარჩოსთან დაკავშირებითაც. ექსპერტთა ჯგუფს არ გააჩნიათ რეკომენდაცია, აქვთ მხოლოდ რჩევები. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის მცირერიცხოვანი, მაგრამ მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონირება რეგიონში, რადგან მას აქვს, როგორც ქართულ ენაში მომზადების ფუნქცია, ასევე ინტეგრაციის ნიშნები. რჩევები, ასევე, ეხებოდა, პროგრამის პუპულარიზაციას.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია**

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამჟამინდელი მდგომარეობა, რომ არა (საუბარია კორონა ვირუსის პანდემიაზე), უნივერსიტეტი აპირებდა და მომავალშიც გეგმავს, რეგიონებში განახორციელოს ამ პროგრამის ფუნქციონირება, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის სტუდენტთა რაოდენობას. პროგრამის ხელმძღვანელი ესაუბრა რექტორს საბაკალავრო პროგრამაზე „ქართული ენა 1", „ქართული ენა 2"-ის გაგრძელების საკითხზე. იგი ფიქრობს, რომ ეს ხელს შეუწყობს დარგობრივი ენის გაუმჯობესებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაწილობრივ უკვე მიღებულია რექტორისა და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისგან თანხმობა. მან აღნიშნა, რომ მათი პროგრამის აკადემიური პერსონალი უმეტესად ასოცირებული პროფესორებისგან შედგება, რომლებიც აქტიურად არიან

[13] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[14] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

ჩაბმულნი საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე,პროგრამაზე უნივერსიტეტს ჰყავს 4 აზერბაიჯანელი და 1 სომხურენოვანი სტუდენტი.

საბჭოს წევრმა იკითხა, რომ პროგრამის მიხედვით, სტუდენტები იყოფიან ბლოკებად და რამდენად სამართლიანია ეს დაყოფა. ასევე, როგორ აგვარებს უნივერსიტეტი თვითდაფინანსების მქონე სტუდენტების შემთხვევაში ბიუჯეტის საკითხს. იგი შეეხო სილაბუსების მრავალფეროვნების თემასაც, თუმცა დასძინა, რომ შესაძლოა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ყოფილიყო ნაკლები მრავალფეროვნება სილაბუსებში და რა შეიძლება იყოს სტუდენტთა დაბალი ინტეგრაციის მიზეზი. მან, ასევე, კითხვა დაუსვა უნივერსიტეტს, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტის ერთსა და იმავე საკითხზე რითია განპირობებული, რომ ერთ მათგანს ეძლევა რეკომენდაციები, ხოლო მეორეს - რჩევები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სასურველია, რომ მოხდეს ქართული ენის, როგორც მეორე ენის სპეციალისტების ჩართვა ამ პროგრამაში. განახლება ბიბლიოთეკის და უახლესი მასალის მოძიება. სტუდენტთა დაყოფის შემთხვევაში, ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო ავალდებულებს უნივერსიტეტს, რომ ამ პროგრამის შემთხვევაში სტუდენტები დაიწყონ საწყისი ენობრივი დონეების მიხედვით და თუ მაგალითად, A ჯგუფის სტუდენტებისთვის უფრო მარტივი იქნება სწავლება, ხოლო B ჯგუფის სტუდენტებს გაუჭირდებათ პროგრამის დაძლევა, ამ შემთხვევაში რაღაცით უნდა მოხდეს კომპენსირება. შესაძლოა საკონტაქტო საათების მეტობა იყოს ამ შემთხვევაში გამოსავალი ასეთ ჯგუფთან. თუკი B ჯგუფისათვის გამოყოფილი იქნება 5 საათი, ხოლო A ჯგუფისათვის 3 საათი. პროგრამის მიზანი წარმოადგენს იმას, რომ აბიტურიენტი ფლობდეს ქართულ ენას B2 დონეზე, რაც მისცემს მას საშუალებას შემდეგომ დაეუფლოს მისთვის სასურველ პროფესიას ქართულ ენაზე. ამრიგად, ამ ორი ჯგუფისთვის საჭიროა, რომ სწავლების პროცესში მოხდეს გათანაბრება ერთმანეთთან, რათა მივიღოთ შესაბამისი შედეგი. ასევე განმარტა რომ ამ შემთხვევაში სტუდენტთა მცირერიცხოვანება აღნიშნა, როგორც რჩევა და არა რეკომენდაცია. თუმცა თავდაპირველად იგი გახლდათ რეკომენდაციის სახით, მაგრამ , ცენტრთან ამ საკითხის გავლის შემდგომ აღინიშნა, რომ სტუდენტთა სიმცირე არ წარმოადგენს პროგრამის მიზნების ხარვეზს, სწორედ ამიტომ იგი უნდა ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია, რადგან არ მოდიოდა შეუსაბამობაში პროგრამის მიზნებთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კონტიგენტის მცირერიცხოვნებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამა საკმაოდ ბევრგან იყო, ხოლო ის სტუდენტები (აზერბაიჯანელები და სომხები) ირჩევენ თბილისს უფრო ტერიტორიული სიახლოვის გამო. დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სტუდენტების საცხოვრებლის აშენება, შერჩეულია შენობა და ისინი იმედოვნებენ, რომ ამ საკითხს უახლოეს მომავალში განახორციელებენ. იგი, ასევე, გამოთქვამს სურვილს, რომ სამომავლოდ პროგრამას ჰყავდეს ასევე, აფხაზურენოვანი სტუდენტები. აზერბაიჯანელ სტუდენტეს აფინანსებს სოკარი, . ხოლო დანარჩენ სტუდენტებს უნივერსიტეტი ეხმარება, რომ სწავლის შემდეგ რამდენიმე საათით დასაქმდნენ რაიმე დროებით სამუშაოზე.

**სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
დაწყების დრო 15:50
დამთავრების დრო 16:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება**
✔ აკრედიტაციის შესახებ
პირობითი აკრედიტაციის შესახებ
აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარე

აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნტტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**3. მესამე საკითხი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[15] | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[16] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2011 წლის 21 ოქტომბერი, N123; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის N1881 განკარგულების საფუძველზე - 2019 წლის 01 ივლისი ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის N646 ბრძანებით- 2020 წლის 01 ივლისი |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[17] | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[18] | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე[19] | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[20] | ---- |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[21] | საქართველო, 0186 (0177) ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N33 |
| 14 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

[15] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[16] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[17] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[18] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[19] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[20] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[21] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. მეოთხე საკითხი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[22] | საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[23] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2011 წლის 14 დეკემბერი, N458; 2012 წლის 01 თებერვალი, N32; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის N1881 განკარგულების საფუძველზე - 2019 წლის 01 ივლისი ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის N646 ბრძანებით- 2020 წლის 01 ივლისი |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[24] | საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[25] | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე[26] | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[27] | ---- |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[28] | საქართველო, 0186 (0177) ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N33 |
| 14 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

---

[22] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[23] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[24] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[25] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[26] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[27] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[28] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს წევრის სახელი, გვარი ეკა ეკალაძე
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, რადგან ორივე პროგრამაზე ერთი და იგივე ექსპერთა ჯგუფი იყო ვიზიტზე, ამრიგად, ორივე საკითხის განხილვა ერთად მოხდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის პროგრამასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ მათ განახორციელეს ვიზიტი 21-22 ნოემბერს. ეს გახლდათ ორი პროგრამა. ორივე პროგრამის შემთხვევაში სტუდენტი იღებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის ხარისხს, განსხვავებით მენეჯმენტისა. მენეჯმენტის პროგრამას ემატება ფრანგული ენის პროგრამა და ეს შეთანხმებულია უნივერსიტეტთან, რის გამოც თავიდანვე ხდება ფრანგული ენის სწავლა ფრანგი დოცენტების მხრიდან. პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იღებს ქართულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის დიპლომს და ასევე ფრანგულ დიპლომს, რომელიც შესაბამისობაშია ფრანგულ კანონმდებლობასთან და ანიჭებს მენეჯერის დიპლომს. ორივე პროგრამას ჰყავს სხვადასხვა ხელმძღვანელი. რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ საათები არასწორად არის მითითებული, ექსპერტი ვარაუდობს, რომ ეს გახლავთ ტექნიკური ხასიათის შეცდომა. სასურველია ასევე, რომ თითოეულ სამედიცინო კურსს ეწეროს რა რაოდენობის საათი ეთმობა. გარდა ამისა, რეკომენდირებულია, რომ სილაბუსებში შეფასების სისტემა უფრო ადვილად აღქმადი იყოს. ექსპერტის აზრით, იგი რთულად აღქმადია სტუდენტისათვის. მოყვანილი ფორმულა, რომელიც არის გამოყენებული სტუდენტის შეფასებისათვის ბუნდოვანია. სასურველია, რომ ყველა სილაბუსში შეფასების სისტემა იყოს ერთი და იგივე.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია:**
დაწესებულების დეკანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ საბჭოზე მოხდა განხილვა იმ რეკომენდაციებისა და რჩევების, რაც იყო პროგრამის მიმართ წარმოდგენილი. მან ხაზი გაუსვა, რომ ნაწილი ამ ყველაფრისა იყო მისაღები, ხოლო ნაწილი განხილვის საგანი გახდა. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ეს მართლაც ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო. მან ხაზი გაუსვა, რომ თავად ლექცია ერთსაათიანია, ხოლო სემინარული მეცადინეობა ორსაათიანი. ცხრილში პირდაპირ გახლავთ ეს ინფორმაცია მითითებული და უნივერსიტეტმა არ ჩათვალა საჭიროდ მისი გადმოტანა ამ ნაწილშიც, თუმცა რეკომენდაციის შემდეგ ეს საკითხი გათვალისწინებული იქნება. რაც შეეხება შეფასების ფორმულას, მათი თქმით, იგი საკმაოდ მარტივი ფორმულაა. იგი საუბრობს იმაზე, რომ პროგრამაზე ისწავლება უმაღლესი მათემატიკა და ამრიგად, სტუდენტისთვის რთულად გასაგები არ იქნება ეს ფორმულა. ლექციათა კურსის დაწყებამდე, პირველი, რასაც აკეთებს ლექტორი ეს შეფასების სისტემის გაცნობაა, ასევე სემინარის ლექტორიც პირველ სემინარს ამ სილაბუსის გაცნობას ანდომებს. ამრიგად, ამდენი გაცნობის შემდეგ არ რჩება სილაბუსი რთულად აღქმადი.
საბჭოს წევრმა იკითხა , რომ ერთი პროგრამა არის დამოუკიდებელი, ხოლო მეორე ფრანგულ უნივერსიტეტთან ერთად. მან დასვა კითხვა, თუ რა სამართლებრივი ნორმებით ხორციელდება ეს.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თანამონაწილეობით ხორციელდება ეს პროგრამა, ხელშეკრულების დონეზე. ეს ხელშეკრულება დაიდო 2011 წელს, ხოლო 2018 წელს განახლდა. ეს ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, რადგან საფრანგეთი გახლავთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო მის მიერ გაცემული დიპლომი დიდ შესაძლებლობებს აძლევს სტუდენტს მთელი ევროპის მასშტაბით.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა თეა ნადირაძემ კითხვით დააზუსტა, თუ რა ტიპის ხელშეკრულებას ჰქონდა ადგილი, ერთობლივად პროგრამის განხორციელების თუ გაცვლითი ხასიათის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თანამონაწილეობითი ხასიათის ხელშეკრულებაზე იყო საუბარი.

საბჭოს წევრმა იკითხა თუ რა იწერებოდა ამ პროგრამის ფრანგულ დიპლომში?

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იწერებოდა „ჯანდაცვისა და სოციალური ორგანიზაციების მენჯმენტის ბაკალავრი". მან აღნიშნა, რომ ფრანგი კოლეგები სილაბუსების შექმნაშიც და სწავლის პროცესშიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინი წელიწადში ორჯერ ჩამოდიან საქართველოში და ამოწმებენ, თუ რამდენად სრულყოფილად ხდება ფრანგული ენის შესწავლა. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაიაროს ფრანგული ენის კურსი, რათა განხოციელდეს მობილობა ამ პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ მენეჯმენტის პროგრამიდან უფრო ხდება გადმოსვლა ქართულ პროგრამაზე, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ფასის სხვაობით (მენეჯმენტის პროგრამაზე გადასახადია 4000 ლარი, ხოლო ქართულ პროგრამაზე 2250).

საბჭოს წევრმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. ორი პროგრამის შემთხვევაში, ორივე თანაბარი დონის სპეციალისტებს უშვებდა თუ არა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ პროგრამა ორივე იდენტურია, განსხვავება მხოლოდ არჩევითი საგნების ხარჯზე განხორციელდა.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სილაბუსი არ იყო წარმოდგენილი, ხოლო მენეჯმენტთან დაკავშირებული სილაბუსები კრედიტების დონეზე ვერ დააკმაყოფილებდა მენეჯმენტის ცოდნის დონეს. მისი თქმით, სწავლის შედეგები უმეტეს სილაბუსში გადასამუშავებელია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არ ეთანხმებოდა საბჭოს წევრის მოსაზრებას გადასამუშავებელ სილაბუსებთან მიმართებით. ეს არის მინიმალური და საკმარისი დონე ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამისთვის.

საბჭოს წევრმა დასვა კითხვა, გამომდინარე იქიდან, რომ ფრანგული დიპლომი იძლევა იმის საშუალებას, რომ შეძლოს სტუდენტმა მისი მიღების შემდეგ იმუშაოს საფრანგეთში, თუ ფიქსირდება ასეთი შემთხვევა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძალიან ცოტა კურსდამთავრებული ჰყავთ ამ პროგრამაზე. ორი წლის მანძილზე ჯამში 32 ადამიანი. ბევრმა მათგანმა სწავლა გააგრძელა სხვა ევროპულ სკოლებში.

**სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწყების დრო 18:50

დამთავრების დრო 19:30

**მესამე საკითხი:**

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი:1**

**გადაწყვეტილება**

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

✓ **აკრედიტაციის შესახებ**
პირობითი აკრედიტაციის შესახებ
აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**მეოთხე საკითხი:**

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი:1**

**გადაწყვეტილება**
✓ **აკრედიტაციის შესახებ**
**პირობითი აკრედიტაციის შესახებ**
**აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ**
**აკრედიტაციის გაუქმების შესახებ**

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**5. მეხუთე საკითხი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N12 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება;**

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
✓ კი

**საბჭოს წევრები - გურანდა ჭელიძე, ნიკოლოზ კიკნაძე**

**საბჭოს თავმჯდომარე**

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭომ განიხილა ტექნიკური ხარვეზის შესწორები საკითხი და ყენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N12 გადაწყვეტილების დანართი N1 - ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

**მომხრე:** 8
**წინააღმდეგი:** 0
**გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N12 გადაწყვეტილების დანართი N1 - ში ტექნიკური შეცდომა და განხორციელების ადგილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქუჩა N1; ქ. ბათუმი, თაყაიშვილის ქუჩა N36 – 38"

**6. მეექვსე საკითხი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 ნოემბრის N221 გადაწყვეტილებასა და 2019 წლის 28 ნოემბრის N62 სხდომის ოქმის მე - 4 ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
- ✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
- ✓ კი

საბჭოს წევრის - დიმიტრი გეგენავა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, თეა ნადირაძემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრს მიმართა 2019 წლის 28 ნოემბრის N221 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ეხება საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამას 2013 წელს მიენიჭა აკრედიტაცია დასახელებით ,,ბიზნესის ადმინისტრირება", ამჯერად, განმეორებით რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილ თვითშეფასებაში აღნიშნულია ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსებში), რომლის საფუძველზე შესაბამის გადაწყვეტილებაში აისახა მხოლოდ „ბიზნესის ადმინისტრირება". საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე დაყენებულია შუამდგომლობა დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელოწოდება და ნაცვლად |"ბიზნესის ადმინისტრირებისა" განისაზღვროს როგორც „ბიზნესის ადმინისტრირირება ფინანსებში". აღნიშნულ საკითხს დაწესებულების წარმომადგენლები და საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორება.

**მომხრე:** 9
**წინააღმდეგი:** 0
**გადაწყვეტილება:**
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს ,,შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ „ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019

წლის 28 ნოემბრის N221 გადაწყვეტილებისა და 2019 წლის 28 ნოემბრის N62 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში ტექნიკური შეცდომა და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“

| | |
|---|---|
| საბჭოს თავმჯდომარე | ირაკლი ბურდული |
| საბჭოს მდივანი | ნიკოლოზ კიკნაძე |